

1 დეკემბერი

ადგენტის | კვირა [1], ი

2021 ოთხშაბათი

ეს 25,6-10; ფს 22; მთ 15,29-37

მეცოდება ეს ხალხი მთ 15,32

იესო ხედავს, როგორ იტანჯება ხალხი, მთელ მსოფლიოში და ყოველი ეპოქაში. და ხედავს, რომ ის ყველას სჭირდება. მის გარეშე ვერავინ, ვერცერთი კაცი თუ ქალი იცხოვრებს სისავსით. მათაც, ვინც ფიზიკური თუ გონებრივი ტანვარჯიშით ესწრაფიან სრულყოფილებას, სჭირდებათ იგი და უფრო მეტადაც სჭირდებათ, რადგან თავს იტყუებენ და საშინელ იზოლაციაში ეხვევიან. იესო გვაძლევს პურს, რაც გვაგემებინებს ღრმა და ნამდვილ თანაზიარებას.

2 დეკემბერი

ადვენტის I კვირა [1]

(19.XI) წმ. ილარიონ ქართველი, მონაზონი, +875, (მ), თ

2021 ხ უ თ შ ა ბ ა თ ი

ეს 26,1-6; ფს 117; მთ 7,21.24-27

ვინც მეუბნება: უფალო, უფალო!
ყველა როდი შევა ცათა
სასუფეველში მთ 7,21

ჩვენ შეგვიძლია თავი მოვიტყუოთ. თავს ვიტყუებთ, რომ კარგად ვლოცულობთ, რადგან ლამაზი ფრაზების აგება შეგვიძლია. იმისათვის, რომ ნამდვილად ვიყოთ შეერთებულნი ღმერთთან, ჩვენ გვეყვარება, გვეყვარება მუდამ და ყველა. ცათა სასუფეველი შექმნილია არა ამპარტავნებისა და ყოყორებისთვის, არამედ თავმდაბალთათვის, თვინიერთა და მოწყალეთათვის.

3 დეკემბერი

ადვენტის I კვირა [1]

წმ. ფრანცისკე ქსავიერ, ხუც., +1552, (მ), თ

2021

პარასკევი

ეს 29,17-24; ფს 26; მთ 9,27-31

თქვენი რწმენისამებრ
მოგეგოთ თქვენ მთ 9,29

ამ სიტყვების ადრესატები ორი ბრმაა, რომლებიც სთხოვდნენ იესოს განეკურნა ისინი. მათი რწმენა მნიშვნელოვანია; მათ სწამთ, რომ იესო აუხელს მათ თვალებს. ადვენტის ამ პერიოდში შევეცდები ყურადღებით მოვეპყრა ჩემს რწმენას, რათა გამოვხატო ის კონკრეტული ჟესტებით, იმ ორი ბრმის მსგავსად.

4 დეკემბერი

ადგენტის I კვირა [1], ი

წმ. იოანე დამასკელი, ხუც. და მოძ., +749

2021

შ ა ბ ა თ ი

ეს 30,19-21.23-26; ფს 146; მთ 9,35-10,1.6-8

უქადაგეთ, რომ მოახლოვდა
ცათა სასუფეველი მთ 10,7

იესო არ შემოიფარგლება იმით, რომ მოწაფეებს სიტყვების გამოყენება დაავალა, ის პირველ რიგში მოელის მათგან ყურადღება მიაქციონ მყიფე, სუსტ ადამიანებს, რომლებსაც დახმარება სჭირდებათ.

ცათა სასუფეველს ხომ საზღვრები არა აქვს; ასრულებს სწორედ იმას, რაც აკლია ამქვეყნიურ სამეფოებს: ესენი რიყავენ ღარიბებს, ან იყენებენ მათ, ის კი ყურადღების ცენტრში აქცევს და ემსახურება მათ.

5

დეკემბერი

ადვენტის II კვირადღე, «გ», [II], ი

2021

კვირა

ბარ 5,1-9; ფს 125; ფილიპ 1,4-6.8-11; ლკ 3,1-6

იყო ღმრთის სიტყვა იოანესადმი ლკ 3,2

ადვენტის მეორე კვირა: აი, იოანე ნათლისმცემელი! დიდნი ამაქვეყნისანი გარს შემოჯარვიან მის უცნაურ, თუმცა კი ყველასაგან აღიარებულ, ჭემმარიტების მატარებელ პიროვნებას. მასზე საუბრობდნენ წინასწარმეტყველნიც, რადგან მისი ხმა ძახილია, რომელმაც კვლავ და კვლავ უნდა გამოაღვიძოს და მიანიჭოს იმედი მათ, ვინც საბოლოო ხსნას მოელის. ტიბერიუსი, პონტოელი პილატე, ჰეროდე, ფილიპე, ლისანია, ანა და კაიფა ფლობენ სამეფოებს, რომელთაგანაც მოელიან ადამიანები ხსნას. მოვა ცათა სასუფეველი, იმის წყალობით, ვისაც იოანე აუწყებს. ის ამზადებს გულებს მოქცევითა და მონანიებით.

6 დეკემბერი

ადვენტის II კვირა [II], ი

2021

ორშაბათი

ეს 35,1-10; ფს 84; ლკ 5,17-26

უთხარით გულშემდრკალთ: „გამაგრდით, აჰა, ღმერთი თქვენი მოდის თქვენს სახსნელად“ ეს 35,4

მოველით მხსნელის მოსვლას. წინასწარმეტყველები გვამხნევენ ამ მოლოდინში. იესო სწორედ დღეს გვიჩვენებს, თუ როგორ არის მზად ჩვენს სახსნელად. იგი ხედავს პარალიზებული ადამიანის სულიერ საჭიროებას, რომელსაც ორმაგი პარალიზი სჭირს: გარეგანი და შინაგანი, სხეულისა და სულის. უპირველეს ყოვლისა, იესო ცოდვების მიტევებით განკურნავს მის სულს. ამ გზით ადამიანი შეძლებს სიხარულს როდესაც ხორციელადაც განიკურნება. წინააღმდეგ შემთხვევაში ის მწუხარე წავიდოდა.

7 დეკემბერი

ადვენტის II კვირა [II]

წმ. ამბროსი, ეპ. და მოძ., +397, (მ), თ

2021

ს ა მ შ ა ბ ა თ ი

ეს 40,1-11; ფს 95; მთ 18,12-14

უდაბნოში მოუძაბდეთ
გზა უფალს ეს 40,3

უდაბნოა ნებისმიერი ადგილი, სადაც არ არის სიცოცხლე, სადაც მხოლოდ საფრთხეებს ვხედავთ, წყურვილს, შიმშილს და მარტოობას. უდაბნოა მსოფლიო, რომელშიც ვცხოვრობთ, სამყარო სიხარულის, სიწმინდის, უანგარობის გარეშე. აქ, სწორედ აქ, ჩვენ მოვასწორებთ და გავამზადებთ გზას მომსვლელისთვის. ჩვენი გაჭირვება როდი შეაფერხებს მას!

8

დეკემბერი

უმანკოდ ჩასახვა
ნეტარი ქალწული მარიამისა, დღ, [ს], თ

2021

ოთხშაბათი

დაბ 3,9-15.20; ფს 97; ეფ 1,3-6.11-12; ლკ 1,26-38

ქუთაისის კათოლიკური ეკლესიის დღეობა

გიხაროდენ, მიმადლებულო,
შენთანაა უფალი ლკ 1,28

ანგელოზი მარიამს მოუწოდებს სიხარულისკენ, დაუყოვნებლივ. როდი ეუბნება, მოექეციო, როგორც მე მეტყოდა. მარიამი უცოდველია, ამიტომ შეუძლია ახლავე სიხარული: მასთანაა და მასშია ნამდვილი სიხარულის წყარო, იესო. იგი ყოვლადწმიდაა, ადამის ურჩობისგან თავისუფალი. ჩვენ ვხარობთ მისთვის, რაკი ისიც ჩენთვისაა.

9 დეკემბერი

აღვენთვის II კვირა [II], ი

წმ. ხუან დიეგო კუაუპტლატოაწინი, +1548

2021 ხუთშაბათი

ეს 41,13-20; ფს 144; მთ 11,11-15

იოანე ნათლისმცემლიდან
მოყოლებული დღემდე, ცათა
სასუფეველი ძალადობას გა-
ნიცდის მთ 11,12

ცათა სასუფეველი ძლიერებს არ უყვართ, არც მდიდრებს, არც ამპარტავენებს. ის მათ ხელს უშლის. ჩემი სიამაყეც კი, სიმდიდრისა და უპირატესობის სურვილიც მას ძალადობით ელობება წინ. იოანე ნათლისმცემელს წინ გადაელობნენ და მოკვლით შეაწყვეტინეს სასუფეველის ქადაგება. იესოს, სასუფეველის მეფეს, ებრძვიან. ძალადობას უნდა ველოლო მეც, როცა შევეცდები ცხოვრებაში გავატარო ის და განვაგრცო. მაგრამ მეფე ჩემს გვერდით იქნება.

10 დეკემბერი

ადგენტის II კვირა [II], ი

ლორეტოს ნეტარი ქალწული მარიამი

2021

პარასკევი

ეს 48,17-19; ფს 1; მთ 11,16-19

მ. კონსტანტინე საფარიშვილის მოხსენიება (+1973)

გამართლდა სიბრძნე
მისი ნამოქმედარით მთ 11,19

იესო საკუთარ თავზე საუბრობს. სწორედ ის გვთავაზობს მამის სიბრძნეს. ვინც ხედავს ტანჯულთაღმი მისი სიყვარულის სასწაულებს, აღიარებენ, რომ ის მართალია, ანუ მამისგან მოდის. ვინც ვერ ამოიცნობს მას, ან სრულებით უვიცია, ან ბოროტინებით განგებ იკეტება. ყურადღებით დაფუგდოთ ყური იესოს: ის ზერეულედ როდი ლაპარაკობს.

11 დეკემბერი

ადგენტი II კვირა [11], ი

წმ. დამას I, პაპი, +384

2021

შ ა ბ ა თ ი

ზირ 48,1-4.9-11; ფს 79; მთ 17,10-13

ელია უკვე მოვიდა და კერ იცნეს იგი მთ 17,12

ისინი ჩამოდიან მთიდან, სადაც იესოს გვერდით მოსე და ელია იხილეს. ბოლოს მოწაფეებმა დასვეს კითხვა. იესო პასუხობს: ელია? ის უკვე მოვიდა. ის, ვინც ცხოვრობს ელიას წინასწარმეტყველური რწმენით, რომელსაც არ ემინია ყველას შესთავაზოს ის, და ამ დროს სიცოცხლის საფრთხეში ჩადებას არ მოერიდოს, რომელიც უდაბნოში გადის, რათა შეხვდეს მას, ვინც მდუმარებაში საუბრობს, მოვიდა. ახლა მათ ესმით, ვინ არის იოანე ნათლისმცემელი. მათ შეუძლიათ გაიგონ, ვინ არის იესო!

12

დეკემბერი

ადვენტის III კვირადღე, «გ», [III], ვ

2021

კვირა

სოფ 3,14-17; ფს: ეს 12,2-6; ფილიპ 4,4-7; ლკ 3,10-18

მოძღვარო, რა ვქნათ? ლკ 3,12

ადვენტის მესამე კვირა: იოანეა რომელიც ჩვენც გვამზადებს იმისი მოსვლისთვის, ვინც შეცვლის სამყაროს. როგორ უნდა დაველოდოთ მას? ამ კითხვას უსმევს მას ხალხი, გადასახადების ამკრეფები და ჯარისკაცები. რა უნდა გავაკეთოთ, რომ მზად ვიყოთ? ავამუშავოთ სიყვარული, ის სიყვარული, რომლისთვისაც უარის თქმაც გვჭირდება, სიღარიბის არჩევაც, სიძუნწის, სიხარბისა და ძალადობის ინსტინქტების დაძლევა. თუკი ამგვარად არ მოველი მას, ვერ შევძლებ მის მიღებას.

13 დეკემბერი

ადვენტის III კვირა [III]

წმ. ლუცია, ქალწ. და წამ., +404, (მ), წ;
(30.XI) წმ. ვანტანგოროგ, +502; წმ. პეტრე კათ., VI;

წმ. სამოელ კათ., V-VI სს

2021

ორშაბათი

რიცხვ 24,2-7:15-17; ფს 24; მთ 21,23-27

ნათლისცემა იოანესი საიდან
იყო? ბეციდან თუ კაცთაგან? მთ 21,25

მათ სურთ, რომ ჩაგჭრან, იესო, რადგან არც სჯერათ შენი და არც უნდინხართ. შენ ძალმოსილებით უდგები მათ: საიდანა გაქვს ეს? ისინი ვერ აცნობიერებენ შენი ქმედების ჭეშმარიტებას, მამისადმი სიყვარულსა და ადამიანისადმი გულმოწყალებას, შენ რომ გამოძრავებს. ისინი ვერ ხვდებიან, რომ ყველაფერი, რასაც აკეთებ ღვთაებრივია. სწორედ ისინი უარყოფენ აშკარა ფაქტს, მაგალითად, იოანეს მისიას.

14 დეკემბერი

ადვენტის III კვირა [III]

წმ. იოანე ჯვრისა, ხუც. და მოძ., +1591, (მ), თ

2021

ს ა მ შ ა ბ ა თ ი

სოფ 3,1-2.9-13; ფს 33; მთ 21,28-32

ერთ კაცს ორი ძე ჰყავდა...
„შვილო, წადი დღეს სამუშოდ
კენახში“ მთ 21,28

ადვენტის განსაცდელად გვჭირდება ეს შენი იგავიც, იესო. ორი შვილი პასუხობს მამას. განსხვავებულად პასუხობენ და მოქმედებენ განსხვავებულად. სიტყვებს შეცდომაში შევყავართ. მაგანი ჰოს იძახის და შემდეგ აღარა ჩანს. ვინც არას ამბობს, შესაძლოა გულსაც გტკენდეს, მაგრამ შემდეგ შეგიძლია ენდო მას. მეორე გაცილებით სჯობია პირველს. ცოდვილებს შეუძლიათ მოქცევა, „მართლებს“ კი – არა.

15 დეკემბერი

ადგენტის III კვირა [III], ი

(2.XII) წმ. ისე წილენელი, ეპისკოპოსი, V ს.

2021

ოთხშაბათი

ეს 45,6-8.18.21-25; ფს 84; ლკ 7,19-23

არ არის სხვა ღმერთი

ჩემს გარდა ეს 45,21

ჩვენ, ადამიანებს შეგვლიძლია გამოვიგონოთ ღვთა-
ებები, რომლებსაც ვემორჩილებით, თუმცა ისინი
კერპები, ღმერთუნიები აღმოჩნდებიან, რომლებიც
ჩვენი ავი მანკიერებებისა და უარესი ინსტინქტების
ამარა გვტოვებენ. ერთადერთი ღმერთი უფალია,
ის, ერი რომ შეიყვარა, ვინც სიცოცხლეს მოგვანიჭა
და მითითებებიც მოგვცა ცხოვრებისთვის. მხოლოდ
მას ვუყვარვართ და გვიმტკიცებს ამ სიყვარულს
იესოს მოვლენით: მის წინაშე ბრმები ხედავენ,
ყრუებს ესმით, კოჭლნი დადიან, მკვდრები დგებიან.
მხოლოდ მის წინაშე. ვერ შევიმჩნევია?

16 დეკემბერი

ადგენტი III კვირა [III], ი

2021 ხუთშაბათი

ეს 54,1-10; ფს 29; ლკ 7,24-30

ეს არის იგი, ვისთვისაც
დაიწერა: „აჰა, მე ვგზავნი ჩემს
ანგელოზს შენს წინაშე“ ლკ 7,27

იესო, შენ საუბრობ იოანე ნათლისმცემელზე. შენ ხალისით და ძალიან კარგად საუბრობ მასზე, რადგან მისი ყოფნა და ნამოქმედარი აუცილებელი იყო. შენ მან წარგადგინა ხალხის წინაშე და მისგან მიიღე მოწმობა. შენ თვითონ როდი წარადგინე შენი თავი, როგორც იქცევიან ის თვითმარქვეები, საკუთარი თავის შემოსაღებას რომ ცდილობენ ხოლმე. შენ თვითონ გაბედე შენს თავზე საუბარი, ვინაიდან ეყრდნობოდი მის სიტყვას და მის ნამოქმედარს. მართლაც, ვისაც მისი არა სწამს, არა სწამს შენიც.

17 დეკემბერი

შობის ნოვენის დასაწყისი [ს], ი

წმ. ბარბარე, ქალწ. წამ., +III-IVსს

2021

პატარავი

დაბ 49,2.8-10; ფს 71; მთ 1,1-17

იაკობმა შვა იოსები,
ქმარი მარიაძისა,
ვისგანაც იშვა იესო მთ 1,16

დღეს ვიწყებთ იესოს შობისათვის მომზადების ბოლო წმიდა დღეებს. ჩვენ ვკითხულობთ მის გრძელ გენეალოგიას, რომელიც მიგვაღებინებს თვალყურს ხსნის ისტორიაზე, აბრაამიდან მოყოლებული. უფლის წინაპართა შორის გვხვდებიან დიდი ცოდვილი კაცნი და ქალნი, უცხოტომელნი და მეძავნიც კი. იესოს არც ერთი მათგანის არა რცხვენია. ასე რომ, არც ჩვენი საგვარეულო ხე უნდა გვადარდებდეს. ყველა ჩვენს წინაპარს მივანდობთ მამის გულმოწყალებასა და იესოს კურთხევას.

18 დეკემბერი

შობის ნოვენა [ს], ი

2021

შ ა ბ ა თ ი

იერ 23,5-8; ფს 71; მთ 1,18-24

შობს ძეს და უწოდებ სახელად იესოს მთ 1,21

იოსები ძილში ისმენს ამ სიტყვებს, მაგრამ ისინი მასში აღიბეჭდება და ისინი პირველ რიგში მისთვის ნუგეში და ძალა იქნება. მარიამი დაბადებს თავის ვაჟს და ის, იოსები, აღიარებს მას თავისად და საკუთარი ხმით დაარქმევს მას სახელს. მეც ამ სახელს დავარქმევ მას: სახელს, რომელიც ყოველთვის უნდა წარმოითქვას სიყვარულით, როგორც ღმერთის სახელი.

19

დეკემბერი

აღვენტის IV კვირადღე, «გ», [IV], ი

წმ. ნიკოლოზი, ეპისკოპოსი, +350

2021

კ ვ ი რ ა

მიქ 5,2-5(ებრ.1-4); ფს 79; ებრ 10,5-10; ლკ 1,39-45

კურთხეული ხარ დედათა შორის და კურთხეულია შენი მუცლის ნაყოფი ლკ 1,42

ელიზაბედი ამ სიტყვებით შეეგებება მარიამს თავის სახლში. და ჩვენც ვიმეორებთ მათ, როდესაც ვლოცულობთ გიხაროდენს. მართალია: მარიამი ღმერთმაც აკურთხა და ადამიანებმაც, რადგან მან საკუთარი თავი მიუძღვნა მამისა და შვილების სიყვარულს და არ უცხოვრია საკუთარი თავისთვის. კურთხეული, გვაკურთხებს არა სიტყვებით, არამედ ღმერთის სიყვარულის ნაყოფის გამოწვევით, მან რომ მიიღო: იესოს, მისი შვილის პიროვნებით!

20 დეკემბერი

შობის ნოვენა [ს], ი

2021

ორშაბათი

ეს 7,10-14; ფს 23; ლკ 1,26-38

ნუ გეშინია, მარიამ,
რადგანაც ჰპოვე მადლი
ღმრთის წინაშე ლკ 1,30

ეს კვლავ ანგელოზი საუბრობს. იგი პასუხობს მღუ-
მარე კითხვას, რომელიც მარიამის გულში ჩნდება.
მას ღვთის სიყვარული დაჰნათის და ამიტომ მას არ
უნდა შეეშინდეს. ღმერთი მამაა, ის მხოლოდ სიყვა-
რულია. ვინც მას უსმენს, არასოდეს შეეშინდება, ის
ყოველთვის დიდი და ძვირფასი იქნება მის თვალში.

21 დეკემბერი

შობის ნოვენა [ს], ი

წმ. პეტრე კანიზიუსი, ხუც. და მოძ., +1597

2021

ს ა მ შ ა ბ ა თ ი

ქებ 2,8-14 ან, სოფ 3,14-17; ფს 32; ლკ 1,39-45

ვინ გამხადა იმის ღირსი,
რომ ჩემთან მოვიდა ჩემი
უფლის დედა? ლკ 1,43

ელიზაბელი გვეხმარება იესოს შობისათვის მზადებაში. იესო ამქვეყნად მარიამის წყალობით მოევლინა.

ჩვენ ვიწყებთ მის სიყვარულს, რათა ღირსეულად შევიყვაროთ ბავშვი, რომელიც მისგან დაიბადება.

მათ, ვისაც იესო უყვარს, უხარიათ იმის სიახლოვე, ვინც მას საკუთარ თავში ატარებს: მარიამი, ალექსის ნამღვილი კილობანი. მართლაც, დავითმა მსგავსი სიტყვებით გაიხარა ალექსის კილობნის მის ქალაქში მისვლის გამო: ამ კილობანში ერისაღმი ღვთის სიყვარულის ხელშესახები ნიშნები იღო.

22 დეკემბერი

შობის ნოვენა [ს], ი

2021 ოთხშაბათი

1მეფ 1,24-28; ფს: 1მეფ 2,14-8; ლკ 1,46-55

ადიდებს სული ჩემი უფალსა ლკ 1,46

მარიამის ამ სიტყვების გალობა ვისწავლეთ
ყოველდღე მწუხრზე. ყოველდღე ხელახლა
გვსურს არამხოლოდ გავიმეოროთ ისინი, არამედ
გამოვთქვათ ჩვენი ცხოვრებით. უფალი დიდია,
ყველაფერზე და ყველაზე დიდი. ჩემი ჟესტებით
დავანახვებ, რომ მას ჩემს ყველა სურვილზე და
ყველა საყვარელ ადამიანზე მალლა ვაყენებ.

ყოველთვის ასე არ მიკეთებია და ამიტომ
მოვემზადები მივიღო ღვთის ძე ჩემი ცოდვების
მდაბლად და სიმართლით აღიარებით.

23 დეკემბერი

შობის ნოვენა [ს], ი

წმ. იოანე კენტელი, ხუც., +1473

2021 ხუთშაბათი

მალ 3,1-4.23-24; ფს 24; ლკ 1,57-66

იოანეს სახელი მისი ლკ 1,63

იესოს მოსვლას მოწმობს იოანეს მოსვლა, ზაქარიას და ელისაბედის სიბერის შვილი. ეს ბავშვი, თავისივე სახელით აუწყებს ყველას სახარებას: ღმერთი, ჩვენი ღმერთი, სიყვარულია; ღმერთი მოწყალეა, ღმერთს შენი სიხარული სწადია. იოანეს სახელი აუწყებს ღვთის ნიჭს, იესოს! და თან დაფიქრდი იმაზე, რომ მასვე შეგიძლია სთხოვო მოტევა!

24 დეკემბერი

შობის ნოგენა [ს], ი

(11.XII) ყოველნი წმიდანი, საქართველოში წამებულნი

2021

პარასკევი

2მეფ 7,1-5.8ბ-12.14ა.16; ფს 88; ლკ 1,67-79

და შენ, ყრმაო,
დაგერქმევა უბენაესის
წინასწარმეცყველი ლკ 1,76

ეს ბავშვის მამა მადლობს და აკურთხებს ღმერთს მისი დაბადებისათვის. ის დიადი შვილია, რადგან მას მართებს განაცხადოს ღმერთის უმშვენიერესი ჩანაფიქრი. თავისი სიტყვებით ის ყველას აუწყებს, რომ მოვიდა ნეფე, ღვთის კრავი, ვინც თავის თავზე აიღებს კაცთა ცოდვას. მის მისაღებად ვთხოვოთ ღმერთს გულთა განწმედა.

25 დეკემბერი

ქრისტეშობა, დღე, [ს], თ

(12.XI) წმ. იოანე ზედაზნის წინამძღვარი, აბატი, IXს.

2021

შ ა ბ ა თ ი

ღამის წირვა: ეს 9,1-6; ფს 95; ტიტ 2,11-14; ლკ 2,1-14
დღის წირვა: ეს 52,7-10; ფს 97; ებრ 1,1-6; იო 1,1-18

ნათელი ბნელში ნათობს და ბნელმა იგი ვერ მოიცვა იო 1,5

საიდუმლო, რომელიც დღეს სიხარულს გვანიჭებს, ნამდვილად ნათელია. დღეს ვხედავთ, თუ რა მიმართულებით უნდა წარიმართოს ჩვენი ნაბიჯები: სიყვარულის, პატიების, თავმდაბლობის მიმართულებით მცირეთა, ღარიბთა და ტანჯულთადმი ყურადღებისაკენ. ყრმა იესოა ნამდვილი ნათელი წუთისოფლის წყვდიადში.

26 დეკემბერი

იესოს, მარიამისა და იოსების
წმიდა ოჯახის დღესასწაული, «გ», [ს], თ

2021

კვირა

1მეფ 1,20-22.24-28; ფს 83; 1იო 3,1-2.21-24; ლკ 2,41-52

გორის კათოლიკური ეკლესიის დღეობა
ოზურგეთის კათოლიკური ეკლესიის დღეობა

არ იცოდით, რომ
მამა ჩემის საქმეებში
უნდა ვყოფილიყავი? ლკ 2,49

დღეს წმიდა სტეფანე აღგილს უთმობს წმიდა ოჯახის დღესასწაულს და იგი ამას სიხარულით აკეთებს. მთელი მისი სიყვარული ეკუთვნოდა იესოს, რომელიც მოვიდა ამქვეყნად მარიამის სიყვარულითა და იოსების მზრუნველობით გარემოცული: ორი ღარიბი ადამიანი, ქრისტიანული ცხოვრების პირველ ნათელ მაგალითს რომ გვაძლევენ. ისინი იესოსთან ერთად ქმნიან ოჯახს. ყოველი ოჯახი სწავლობს მათგან, როგორ გახდნენ შვილთათვის კურთხევად და დაბადებისათვის შესაფერის ადგილად. ყოველი ოჯახი სრულია და მომზადებული, როცა მასში ცხოვრობს იესო.

27 დეკემბერი

წმ. იოანე, მოც. და მახარ., დ, [ს], თ

2021

ორშაბათი

1 იო 1,1-4; ფს 96; იო 20,2-8

სამარხიდან წაუღიათ

უფალი იო 20,2

მოციქული იოანე გვიყვება მარიამ მაგდალელის სიყვარულზე იესოს მიმართ და იმაზე, თუ როგორ გამოეცხადა მას იგი აღმდგარი. თავად იოანე თავისი ხანგრძლივი ცხოვრების ბოლომდე იყო მოწმე უფლის სიყვარულისა, იმ სიყვარულისა, რომლითაც ინება და შექმნა ეკლესია. სწორედ ეკლესიაში, უფალ იესოსთან შეხვედრით, გვიჩვენებენ და გვიწვდიან სიწმიდესა და სიხარულს მოციქულიცა და ყველა წმიდანიც.

28 დეკემბერი

წმ. ჩვილნი ქრისტესათვის
წამებულნი, დ, [ს], წ

2021

ს ა მ შ ა ბ ა თ ი

1იო 1,5 - 2,2; ფს 123; მთ 2,13-18

ეგვიპტიდან მოკუხმე ჩემს ძეს მთ 2,15

მათე მახარებელი ხშირად ციტირებს წინასწარმეტყველებს, ამგვარად ვიცით, რომ მთელი ისტორია ვითარდებოდა და ვითარდება იესოსკენ. ისრაელის ერი, ღმერთს შვილივით რომ უყვარდა, გამოხმობილ იქნა ეგვიპტიდან როგორც წინასწარმეტყველება. ეს იესოა, რომ უნდა დაბრუნდეს დროებითი თავმესაფრიდან, სადაც გაიქცა ჰეროდეს რისხვისაგან რომ დაეცვა თავი. იცხოვრებს თავის ხალხში, მაშინაც კი, როცა სწორედ ის უარყოფს მას და სიკვდილით დასჯის.

29 დეკემბერი

შობის რვაღლეულის V დღე [ს], თ
წმ. თომას ბეკეტი, ეპ. და წამ., +1170

2021 ოთხშაბათი

1იო 2,3-11; ფს 95; ლკ 2,22-35

ვისაც თავისი ძმა უყვარს,
ნათელში მკვიდრობს 1იო 2,10

ეს ყოველდღიური გამოცდილებაა. ვისაც უყვარს, არ უნდა დაიმალოს. ვისაც უყვარს, მამის სახეს ამჟღავნებს. ვისაც უყვარს, თავს იცავს ბოროტისგან. ვისაც უყვარს, არა სჭირდება საკუთარი თავის კიცხვა. ვისაც უყვარს, აჩვენებს ცხოვრების ყველაზე ლამაზ მხარეს. ვისაც უყვარს, ის ნათლითაა მოსილი.

30 დეკემბერი

შობის რვაღლეულის VI დღე [ს], თ

2021 ხუთშაბათი

1იო 2,12-17; ფს 95; ლკ 2,36-40

ანა ელაპარაკებოდა ყრმაზე
ყველას ვინც იერუსალემის
ხსნას ელოდა ლკ 2,38

იცი რომ ანა 84 წლის იყო? ლამაზი ასაკია:
მან თორმეტჯერ იცოცხლა შვიდი წელიწადი.
რიცხვი მეტყველებს სისრულეზე: ადამიანის სიცო-
ცხლე სრულია, როდესაც ის შეხვდება იესოს! 84
წლის ასაკში ანა ყველაზე მშვენიერ რამეს აკეთებს
თავის ცხოვრებაში: ის ახერხებს იესოს შესახებ
საჯაროდ საუბარს. მართალი ყოფილა ფსალმუნში
ნათქვამი: „სიბერეში კვლავ მოიხსამენ ნაყოფს“!

31 დეკემბერი

შობის რვაღლეულის VII დღე [ს], თ

წმ. სილიბისტრო I, პაპი, +335

2021

პარასკევი

1იო 2,18-21; ფს 95; იო 1,1-18

ყველაფერი მის მიერ
შეიქმნა იო 1,3

წელიწადს ამ განცხადებით ვასრულებთ. ყველაფერი, მამასადამე, ჩემი ცხოვრებაც და ჩემი ისტორიაც, ის საჩუქარია, რომელიც იესოს ხელით მომეცა. და ყველაფერი მისთვისაა, რადგან ის არის სიცოცხლის სისავსე, ის არის „მარადიული“, ანუ სავსე სიცოცხლე თითოეული ადამიანისათვის. მასთან ერთად ყოველი დღე აივსება მარადისობით!